

საქართველოს დემოკრატიული პარტია

რედაქცია

გაზეთი მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი; დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხოვნები.
რედაქცია ღიაა: დილის 9-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.
მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფინხაძის სახლი.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტრისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 60 მ.
კანტორა ღიაა: დილის 8-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.
ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

განცხადება.

ქუთაისის სამაზრო ერთობის გამგეობა

აცხადებს, რომ წაბლარის ხევის ხე-წყის ქარხანა უკვე შეუდგა მუშაობას და პირველ რიგში

გამზადებს სასკოლო „პარტებს“

გამგეობა სთხოვს სკოლებს, რომელთაც სურთ შეიძინონ პარტები უკვე შეტანილ ფული ერთობის საღარიბოში, ვინაიდან დაკვეთის შესრულება მოხდება რიგრიგობით.
პარტიბა დამკვეთი მიიღებს დაშლილს ყოველივე მასალით.
გამგეობის წევრი ფალავანდიშვილი. 3-2

ვიკრას, 12 ოქტომბერს გადამდებული იქცევა წირვა და პანაშვიდი მთავარ ანგელოზის ეკლესიაში

ივანე სიმონის ძე გუგუშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ. ქვრივი მკრინე გიორგის ასული გუგუშვილისა და დები განსვენებულისა ელისაბედ ბარკალიაისი და ერბუხტი ღვამიჩაისი. 1-1.

სენატი უმღავს.

სენატი უმღავს. ამას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. ერთობა ამბობს: სენატის უმღრესი დანიშნულება ის არის, რომ ხალხის გულწაღებში ამოიკითხოს ხალხის სურვილი კმაპყოს და პოლიტიკური რეფორმების განხორციელებას ხელი შეუწყოს.
მაგრამ ეს — მეტად ბუნდოვანი ლებრივი განსაზღვრაა.
სენატი ვერ იქნება მხოლოდ რეფორმის განმახორციელებელი ორგანო. მისი მოვალეობა, პირიქით, რომ ფართოა და ეხება არა მარტო რეფორმულს, არამედ აწინდელს, ისტორიულს, ჯერ შეუცვლელ მოვალეობას.
მაგრამ არც ამით ამოიწურება სენატის მოვალეობა.
სენატი, როგორც უზენაესი სახელმწიფოებრივ მართლმადიდებლობაში მოზიარება, როგორც კანონმდებლო დაწესებულება და მინისტრო.
და ამ მხრით სენატის მნიშვნელობა განუზომელია.

სენატი — კანონიერების უზენაესი დარაჯია. მას უფლება აქვს გააუქმოს რომელიმე მინისტრის უკანონო განკარგულება.
მაშასადამე სენატი მართლმადიდებლობის სასწორზე ადმინისტრაციის მოპირისპირე წონას წარმოადგენს.
საფრანგეთში ეს უზენაესი უფლება მეორე საკანონმდებლო პალატას აქვს, რომელსაც აგრეთვე სენატი ეწოდება.
ჩვენში კი სენატს საკანონმდებლო უფლება არ აქვს. მაშასადამე უფლებათა განწილება ჩვენში უფრო სრულია.
სენატი განიცდევს სამ დებარტამენტად: სამოქალაქო საქმეთა, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ საქმეთა დებარტამენტად.
რამდენი უკანონობა ჩაიდინეს მიწის ჩამომართმევა კომისიებმა! სენატი მოვალეა აღადგინოს დარღვეული უფლებანი ამ სფეროში.
სისხლის სამართლის დებარტამენტი ყურად იღებს ტუსაღთა სამართლიან საჩივარს: წლობით ციხეში

არიან და არ იციან, რა ბრალდებათ!

მეტადრე ადმინისტრაციულ დებარტამენტს ექნება დიდი საქალი: ჩვენი ქვეყანა, შეიძლება ითქვას ადმინისტრაციული თვითნებობისა და ანარქიის ქვეყანა.

მაგრამ, სენატმა რომ თავის მოვალეობა პირნათლად ასრულოს, ორი რამეა საჭირო: 1) სენატორი დამოუკიდებელი უნდა იყოს ადმინისტრაციისა და 2) კიდევ უფრო დამოუკიდებელი უნდა იყოს პარტიის გავლენაზე.

რასაკვირველია, სენატორს ვერ მოესთხოვთ, თავის პოლიტიკურ რწმენაზე ხელი აიღოს. ამ პირობას არც ერთი დამოუკიდებელი კაცი არ დათანხმდება.

მაგიერად მას ევალება სრული პარტიული მიუდგომლობა და პირუთენელობა.

როგორც მოსამართლე, ის მხოლოდ კანონიერებას უნდა უდგეს დარაჯად

მხოლოდ ამ პირობით გააქტიურება ჩვენი ქვეყანა უფლებრივ სახელმწიფოდ.

მაშ სენატორის მნიშვნელობა იმდენად იქნება დიდი, რამდენადაც ის ხელს შეუწყობს კანონიერების, უფლებრივი მდგომარეობის დამყარებას სამოქალაქო ცხოვრებაში.

უნდა აღინიშნოს კი: თვით სენატის შედგენა ნაბიჯია წინ კანონიერებისაკენ.

ვასილ წერეთელი.

უწინ და ახლა.

სოციალისტური მიმართულება, რომელიც სიტყვით გამოთქმული ყველასთვის მოსაწონია და თეორიაში ადვილათ მისაღები, ცხოვრებაში ყოველთვის მარჯვდება და სინამდვილეში უვარგისი გამოდის. გამოცდილება ერთად ერთი საშუალებაა, რომელიც დაარწმუნებს ადამიანს, რომ თეორია და სინამდვილე ერთი და იგივე არ არის. გამოცდილება დაარწმუნებს სოციალისტებს, რომ მათი რწმენა ცხოვრებაში მიუღებელია და იმ რწმენაზე აშენებული ცხოვრება ნორმალური არ იქნება.

ჩვენში სოციალისტური მიმართულება მეტათ გავრცელდა, მეტათ გაძლიერდა, ასე რომ მთავრობაც სოციალისტურია და საკანონმდებლო ორგანოც. ასე რომ ერთი შეხედვით აღარაფერი ხელს არ უშლის რომ სოციალიზმი განხორციელდეს. თუკი მთავრობა ხალხისაა და ხალხმა მართლა ასეთი მთავრობა მოისურვა, მაშ წინააღმდეგი ვინაა იქნება, რომ სოციალისტურმა მთავრობამ ცხოვრება თავის რწმენაზე ააშენოს და გარაქმნას?

მიუხედავად ამისა მთავრობა ყოველ სოციალისტურ ნაბიჯს დღეს უკვე უარყოფს მიტომ, რომ ხედავს ხიფათსაც და შეუფერებლობასაც. სოციალისტური მთავრობა დემოკრატიულ რესპუბლიკაში არა სოციალისტურათ იქცევა. აი რა დაგვიმტკიცა სინამდვილემ, აი რა გვიჩვენა გამოცდილებამ!

ავიღოთ უახლოესი ადმინისტრაციული წესით დატყვევება სოციალისტებიდან უარყოფილი იყო პრინციპილურადაც და პრაქტიკულადაც. ძველი რეჟიმის დროს ამ წესს მეტათ ამაკვებდნენ სოციალისტები და მთავრობას ამის გამო სასტიკი ბრალდება ხვდებოდა.

დღეს კი, როდესაც სოციალისტები მართლმადიდებლობას აწარმოებენ და მთავრობის ადგილზე დადგენ, მთავრად დაგმობილ პრინციპს იცავენ და პრაქტიკულადაც ასეთ ნაბიჯებს აკეთებენ.

სოციალისტური მთავრობა არა სოციალისტურათ მოქმედებს და თანაც საკანონმდებლო დაწესებულებაში ასეთ მიმართულებას იცავს.

სოციალისტი, იურისტი ბ. ს. ჯაფარიძე, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ცხოვრებაში წინააღმდეგი იყო ადმინისტრაციული წესით დასჯისა. მას პირადად შეხვდა ამ წესის ძალით დატყვევება და რა თქმა უნდა სავესებით აღშფოთებული და ცათამდი წინააღმდეგი ამ შექთხვევისა ჰკომბდა მთავრობას და მის პოლიტიკას.

დღეს კი იგივე პირი სულ სხვას ამბობს და სულ სხვას ამტკიცებს. დღეს უწინდელი სოციალისტი არა სოციალისტურათ მსჯელობს და სა-

ითხარე

ხალხთა ლიგის საბჭოს სხდომა ვერსალის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ შესდგება.

საერთაშორისო დიპლომატიის განვითარებაში მონაწილეობა არ მიიღეს და განადგურდა, რომ კომუნისტურ აჯანყების დრო წავსდებოდა კინის ჯარი ებრაელებს არ ჰქონდა.

გროზნის მახლობლად უკვე ხაჯი ჯარმა დაამარცხა გენერალ შკურის 4 პოლკი ინგუშებმა ხელთ იგდეს 28 ზარბაზანი, მათში მძიმე ტყვეობაში მყოფი 4 000 ადამიანი.

გროზნისში კინის გზებით გაფრთხილება შეწყდა.

საბჭოში მომავალ არსებებისათვის რესპუბლიკა მელთა ჯგუფებმა კომუნისტური ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

საბჭოების მთავრობამ ახერხებულანის, საქართველოს და ტურქმენის მუშების და გლეხებისადმი მოწოდება გამოცხადდა, რითაც ურჩევს დეიკონს შეეზრდოდნენ.

მიეშურებოდა სარბოთა სწავრობებ და საღ სოფეცოცხთან. კარგა ხნის ბობოლის შემდეგ გენ. შკურის ჯარები სასტიკად დამარცხდნენ. ინგუშებმა ტყვეთ წარმოიყვანეს 800 კაცი, ხელთ იგდეს 21 ზარბაზანი, 31 ტყვეობაში მყოფი, 4 ათასი ტყვე და სხვა. გენ. შკურის ჯარი კი ბობოლისაკენ იხევს (აზ.).

გროზნისკენ.

გროზნის მახლობლად 10 ვერსზე ჩვენები ზარბაზნებს უშენ ბერდიველის რაიონს, რომელთა მცხოვრებნიც აჯანყებულებს მხარს არ უჭერდნენ.

ბობოლის უახლოესთან. შკურის ჯარსა და მინისტრთა შუამდგომლობა კარგად მოეწონებოდა, რომ გადადგილობრივად მანეთს დასწავლენ და სიღნაღის მახლობლად უახლოესად საბობოლიველია.

სომხების თავდასხმა. ს. სიხის სომხებმა რიცხვით 300 კაცი ნეიტრალური ზონა გამოილახა, კორინჯს თავს დაესხნ და მრავალი ოთხეტი გაიტაცა.

ბობოლის გერმანელები. თრებიდან ცარცვა გლეჯას განიდიან.

კანონდებელი ორგანოში არა, სოციალისტურ განათქვამიანებთან ერთად ჩვენს... მამ გენერალ შკურის... რატომ მოხდა ასეთი ცვლილება? რამ გამოიწვია ასეთი განსხვავება? როდის იყო მართალი და გულწრფელი შკურის ჯარისკაცი წინაშე. თუ გლეხებს, თუ ურჩეულებს.

უწინდელ მთავრობას ამას უწუნებდა, ახლანდელს კი უწონებს. უწინ ამტკუნებდა, ახლა ამართლებს. რა მიზეზია?

ჩვენის საბჭოთა პარტიის ერთი უწინის გამოუცდელი იყო, სწინ თეორეტიკოსი იყო, უწინ სოციალისტი იყო და დღეს კი სულ სხვაა. როცა სხვა მართავდა მართებამეობის შანქანას ბ. სერგო სხვას გვიკარნახებდა, და როცა თვითონ იწყებდა მანქანას ხეობმღვანელობას სულ სხვას ამბობს. ალბათ სოციალისტური რწმენა და მიმართულება შეიცვალა, არ გამართლდა. ცხოვრების სინამდვილე ცნა მათ უმტკიცეს სოციალისტებს, რომ ისინი სცდებიან. გამომდინარეობს სინამდვილის სხვა დასაყვანზე მიჰყავს.

თუ სასარგებლოთ გამოიყენებთ, ესეც მართალია.

გრიფონ ჯაფარიძე

პრესა.

ამიერ კავკასიის ერებს მძიმე პირობებში უბედობა ცხოვრება. გარეშე მტრების საშინელებას თან ერთვის შინაური შეურაცხველობაც, რაც საერთო მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს.

ტერიტორიის გამოჯენის და სხვა საღვარე საკითხები განსაკუთრებით ჩვენს და სომხეთს შორის, ბადებს ერთგვარ შუღლს. და დღევანდელ კრიტიკულ მომენტში განხეთქილება და შუღლი უქვეყნლად ზიანს მიაყენებს როგორც პირველს ისე მეორე მხარესაც.

მაგრამ დღემდის ვერ მოგვარდა ეს საკითხი. რამდენჯერმე იყო ამ საკითხების გადასაკრეულად მოწვეული ამიერკავკასიის ერთა წარმომადგენლების კონფერენცია, მაგრამ დაშნაქელების პოლიტიკის წყალობით ყოველთვის ჩაიშალა და მის მუშაობას არავითარი ნაყოფი არ მიუტია არც საქართველოსათვის, არც სომხეთისათვის და არც ახერხაიანისათვის.

ეს მოხდა დაშნაქელების შედეგად.

მთავრობაში.

მთავრობამ დაადგინა: გადაიღოს სრულყოფილ საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს განკარგულე გამო 15,000 მანეთი კათალიკოზ პატრიარქის აფხაზეთში (საეკლესიო საქმეების მისაგვარებლად) მოგზაურობის დროს გაწეულ ხარჯების და საფარავად.

საკათალიკოზო საბჭოს შუამდგომლობა ოსმალთაგან აკლებულ და დანგრეულ ეკლესიათა აღსადგენად 50,000 მანეთის გადაღების შესახებ დასკვნისათვის შინაიან საქმეთა მინისტრს გადაეცემა.

ახალ ქალაქის მახრის გაქირვებულ მოსახლეობას მიეცეს სათესლე ხორბალი. ხორბლის შესაძენი თანხა გაღებულ იქმნას შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებიდან.

მომარაგების სამმართველოს განკარგულებაში გადაიღოს 25 მილიონი მანეთი დამფუძნებელ კრების მიერ ფიციტოს 2-ს დეკრეტით გადაღებულ მთავრობის განკარგულებაში სურსათის დასამზადებელ თანხიდან.

სახლობა ვერდის მთავარ შტაბს განკარგულებაში 500,000 მანეთი გადაიღოს ხადუმის დასაკრეულ გამოყოფილ 800 გვარდიელის ხარჯების დასაფარავად.

ს. შანშიაშვილის პოემა. შანშიაშვილმა ახალი პოემა ქართული ინტელიგენციის ცხოვრებით უკვე დაამთავრა.

სენატორების ჯამაგირები. დამფუძნებელმა კრებამ სენატის თამხლომარეს თვეში 9000 მანეთი დაუნაშნა, მის ამხანაგს 8000 მ., სენატორებს, 7,500 მ. სენატის პრეკუროს 8000 მ. მის ამხანაგს 7000 მან.

ქუთაისის სამაზრო ერობა. აგრ. ნომ თოფურიძეს დაავალა ჩაპაროს ყოფილ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსაგან აგრანტ ვასილევსკის საქმეები და ბიბლიოთეკა.

გადაყვანა. ტყიბულის რაიონის კომისარი გადაყვანილ იქნა ხონის რაიონის კომისარად.

სამაზრო ერობის გამგეობი წევრი ვ. ფალავანიშვილი ერობის საქმეების გამო თბილისს გაემგზავრა.

ფულის მოთხოვნა. 1 ოქტომბერს ქ. ხონში თადეოზ თოფურიძეს ბოროტგამზრახველებმა წერილი მოსთხოვეს 15,000 მანეთი აღზინის სტრაციის ზომების მიღების შემდეგ დააპატიმრეს იონა ქაჭკაიძე და გრიგოლ ღვინცაძე, რომელნიც დანაშაულობაში გაპოტყდნენ.

პოლკოვნიკ მასკელის გამგზავრება. პოლკოვნიკი მასკელი პრინს გაემგზავრა.

გაზეთის გამოწერა. ბ. ვილისი კაკაბაძემ სამი თვით გამოუწერა გაზ. ჩვენის ქვეყანა პატარა ტყეში სამკითხველოს.

კრება. კვირას 12 ოქტომბერს, ნაშუადღევს ხუთ საათზე მეხეთის ქუჩაზე „ღუღაძის“ მოედანთან დანიშნულია „გაყა-ფშველოს“ სახელობის სამკითხველოს წევრთა და თანამგზანობელთა საზოგადოება კრება გამგეობა სთხოვს მესხეთის ქუჩისა და მის გარშემო მცხოვრებლებს დაესწონ ამ კრებას.

ხელმეორე გამოცდა სიმწიფის მოწმობაზე. განათლების სამინისტრომ დაავალა ვაჟთა პირველი გიმნაზიის დირექტორს ნ. მ. მისაბიშვილს ხელმეორე გამოცდების მოწყობა კერძო გიმნაზიების იმ პირთათვის, რომელთაც იგნისში დაენიშნათ. გამოცდები სიმწიფის მომბის მისაღებად.

ქუთ. ბაზარი. გუშინ ყურძენი 180 მ. ფასობდა, სიმინდი ფყვილი 120 მ. ფუთი. წაბლი 110 მ.

მეფუტკრეობა. ქუთაისის სა...

სახლობა ვერდის მთავარ შტაბს განკარგულებაში 500,000 მანეთი გადაიღოს ხადუმის დასაკრეულ გამოყოფილ 800 გვარდიელის ხარჯების დასაფარავად.

კორინჯის გზის მოლაკისათვის ფორმის შესაძენად საჭირო თანხა გაღებულ იქმნას და შესაფერი დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

მიწადამოქმედების მინისტრის განკარგულებაში გადაიღოს 2 მილიონი მანეთი ფარცხის სამხრეთში ღვინისა და კონიაკის დასამზადებელ ყურძნის შესაძენად.

სატრანსპორტო საზოგადოებაში მთავრობის წარმომადგენლად დანიშნოს გადასახადთა ინსპექტორი სემენჩენკო.

იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში გადაიღოს 66,700 მან. სასამართლო დაწესებულებათა შენობების შესაძენად.

ახალი აგება.

ქუთაისი.

სენატის თავმჯდომარემ ხელმეორეჯერ მისალოცი დეპუტატი იუსტიციის მინისტრისაგან. მინისტრი სთხოვს მალე თბილისში ჩასვლას, და მოვალეობის აღსრულების შედეგად.

უახლესი სწორება

თერგის ოლქში.

დასავლეთ ინგუშთა ფრონტზე 28 სექტემბერს, ინგუშების რევოლუციონური ჯარები, უხუშ ხაჯის ხელმძღვანელობით, ეკვეთნენ გენ. შკურის ჯარს, რომელიც გროზნისაკენ იხევდა.

სენატის თავმჯდომარემ ხელმეორეჯერ მისალოცი დეპუტატი იუსტიციის მინისტრისაგან. მინისტრი სთხოვს მალე თბილისში ჩასვლას, და მოვალეობის აღსრულების შედეგად.

და ეკურთხეო, ლუკმა მუდამ გვექნება
 ლ პურომარლილი არ შემოგვაკლდებოა,
 მაგრამ მაშინ არ დავეუჯერე და ეხ-
 ლა რაღა დროს ჩემი ალილუიას და
 კირიელეისონის სწავლაა, ძმაო ფი-
 ლიპე, თორე არ დავიწუნებდი არა
 თუ ღვდლობას, არც მის დიაკვნო-
 ბას...

სოფლის მასწავლებლობას კი ვიწოვ
 ნი, ეხლა აღვილი საქმეა; ოთხი კლა-
 სის მოწმობაც აღარ უნდა, ჩაეწერე-
 ბი ორ თვეს კურსებზე და გათავდა,
 ხელად გავწესდები; წნათ რომ გავ
 კიპავდენ ეგზამენებში და მთელ თვის
 გაწვალდენ, ის კი აღარ არის ეხ-
 ლა! მაგრამ რა ყრია ამ უჩიტლობა-
 ში, რვაასი ან ათასი მანათი თვეში
 რა ფულია დღეს! ერთ ფესსამელს
 ვერ გიყიდის... ისევ უნდა ვახერხო
 და ერობის კაცი ვინმე სოციალისტი
 უნდა გავიცნო, იქნებ მიხერხოს და
 გამაგზავნოს ერობის სამსახურში.
 ეროვნულებს და ფედერალისტებს კი
 ვიცნობ, მეგობრებიც მყავს, მაგრამ
 თვითონ სამებარი აქვთ ადგილები და
 მე რაღას მიშველიან! მითხრეს, თუ
 ერობის სამსახურში მოხვდებოდა, ჯა-
 მაგირსაც კარგს დაგინიშნავენ და
 შაქარსა და პურსაც იშოვიო. მერე
 რამდენი ხანია ჩაი არ დამიღვეია!
 ნეტავი შენ თუ მარალა მოსკოვში
 ხარ, შაქარი და პური მაინც არ გე-
 ქნება სანატრელი. ამას წინათ სა-
 ხლში შკაფას თავზე წავადექი რაღაც
 გამოკრულს, ვნახე შაქარია, იქნე-
 ბოდა ერთი გირვანქა; ჩემმა ცოლმა
 გულქანამ მითხრა, მაგის დახარჯვა
 როდი მინდაო, ერთი და ერთი რომ
 მოვკვდეთ, დასაკურთხებლათ დაგე-
 ჭირდება, წამართვა და შეინახა. აი
 რას მოვესწარი, ძმაო, კარგ ცხოვ-
 რებას შეჩვეული კაცი!..

სხვა, ძმაო ფილიპე, ქუთაისში საჭო-
 ბოროტო და დასაწერი ამბები ბევ-
 რია, მაგრამ ვინ არის დამწერი; შენ
 მიგვატოვე და სად გადაიკარგე, არ
 ვიცით; ისიც საეჭვოთ მიგვაჩნია, თუ
 ცოცხალი ხარ და ამ წერილს წაი-
 კითხავ; ხანდახან თუმცა ეწერდი სა-
 გაზეთო წერილებს, მაგრამ ეხლა ვარ
 იმის გუნებაზე მშიერი და შიშველი
 კაცი? განსოვს, როდესაც პირველ
 კლასში ვსწავლობდი, რუსული ენის
 მასწავლებელი გვასწავლიდა კრიტი-
 ნასა და კიანქველას არაკს, სადაც
 ეწერა: „ი კამუ ეე კუმ პაილიოტ ნა
 ჭელუდვოკ პეტ გოლოდნი“ო დამა.
 რთლაც ასეა ჩემი საქმე, ძმაო! თა-
 რემ საწერი მასალა, იცოცხლე, ამ
 ჩვენს ქუთაისში ბევრი იყოს! დაეს-
 წარი კრებებს უპრადაში, კოპერა-
 ციებში, კომიტეტებში, სასწავლე-
 ბლებში, შეიხედე ყველგან დაწესე-
 ბულებებში, რკინის გზის სადგურე-
 ბში, წიგნის მაღაზიებში, სავაჭროე-
 ბში, თვალყური ადევნე მოსწავლე
 ახალგაზრდობას, ბულვარ კლუბებში
 მოსეირნე ქალებს და მასალები გო-
 დრობით გექნება... მეტს არაფერს
 გწერ ეხლა, ძმაო ფილიპე! თუ სუ-
 ლი გიდგია; მაცნობე შენი მოგზა-
 ურობის ამბავი და ყოველივე თავ-
 გადასავალი.

შენი მეგობარი
ესტატე ჩიბურდანიძე

**„შევარდენის“ ტანპარჯიშო-
 ბის მოკლესტორია და მისი
 მიზანი.**

(დასასრული. იხ. „ჩვენსი ქვეყანა“ № 171).

„შევარდენის“ დაარსების წლის
 თავზე 1963 წ. ტირშმა შემდეგ სი-
 ტყვებით ნამოაყალიბა ამ საზოგადო-
 ლოების დანიშნულება: „საჭიროა
 ენერგია და უღრვეკელი ნება, სა-
 ჭიროა თავისუფლებისადმი მკაცრი
 მოკიდება და ზნეობა, საჭიროა მძლავ-
 ვრი მკვლავები და ძლიერი მკერდი,
 საჭიროა ერთად შედუღებული ძმო-
 ბის სიყვარულის გრძობანი, —საჭი-
 როა ამ ჩამოთვლილ თვისებათა აღრ-
 ზდა ხალხში. ერთი, რომ აღსდგეს ამი
 სათვის საჭიროა იგი სხეულით და
 სულით მძლავრი შეიქმნეს“-ო.

22 წლის დაულალავ მუშაობის
 შემდეგ, 1882 წ. ტირშმა მოაწყო
 შევარდენთა პირველი ყრილობა წე-
 ვრთა სიმრავლემ, სხვა სლოვიანე-
 ლთა წარმომადგენლების დასწრებამ
 ტირში დაარწმუნა, რომ მისგან და-
 წყებულ საქმეს მტკიცე საძირკველი
 ჩაეყარა.

ავადმყოფობის გამო ჯერ ისევ
 1869 წ. ცოტა ხნით იძულებული
 იყო შეეწყვიტა თავისი მოციქულე-
 ბრივი მოღვაწეობა ჩეხელებში; მე-
 ორედ 1876 წელში დაქანცულობის
 გამო საქმეს ჩამოშორდა შევარდენ
 თა პირველი დღესასწაულის გამარ-
 თვის შემდეგ დაწმუნდა, რომ მას
 უფლება აქვს დაუბრუნდეს საყვარელ
 პედაგოგიურ საქმიანობას. მიიღო
 კიდევ ხელოვნების ისტორიის კათე-
 დრა, ახლად დაარსებულ ჩეხურ უნი-
 ვერსიტეტში. 1884 წელში აიხადა
 პრაგის შევარდენის უფროსის
 მოვალეობანი და მის მიერ დაარ-
 სებული ჟურნალის „შევარდე-
 ნი“-ს რედაქტორობა. დიდხანს ვე-
 ლარ იცოცხლა ამის შემდეგ, ამავე
 წლის მარტობისთვის მისი სხეული
 იპოვეს მდინარე ახის სანაპირო ქვებ-
 ზე, სადაც მას განეტკვებია სული
 ტიროლის მთებში ერთ ერთ ექსკურ-
 სიის დროს.

მისი მცნებანი დღესაც წმინდათ
 სრულდებიან ჩეხელ შევარდენებში.
 ყოველი ჩეხი კარგათ გრძობს რის-
 თვისაც სდგება იგი „შევარდენი“-ს
 დროშის ქვეშ, ამასთანავე გულის
 ფიცარზე აქვს აღბეჭდილი საყვარელ
 მასწავლებლის სიტყვები: „შრომა,
 ზნეობა და დისციპლინა ძალებია,
 რომელნიც ისხნიან ერს“.

ტირში მოკვდა მაგრამ უბატო-
 ნოთ არ დასტოვა თვისი პირშო
 შვილი. მის ღირსებას ისიც შეად-
 გენდა რომ იცოდა როგორი თანა-
 შემწენი ამოერჩია თავისათვის.

ი. ფიგნერი ერთი შესანიშნავი
 ადამიანთაგანი აღმოჩნდა, რომელ-
 მაც ღირსეულად განაგრძო ტირ
 შის საქმეები, და შევარდნობა დი-
 დათ განავითარა.

შევარდნობა დღეს მოედო მთელს
 დედამიწას და ჩვენი „შევარდენი“-ც
 ერთი მის ბარტყათაგანია. ახლო მო-
 მავალში ცხადია „შევარდენის“ გა-
 ნყოფილებებით მოიფინება ჩვენი ქა-
 ლაქები და სოფლებიც, მაშინ შევა-
 რდენი შეიქნება მეგობრულად მცხო-
 ვრებ ძმათა კავშირად, რომელშიაც

პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი
 შეხედულობანი განკერძოვებას ვერ
 შეიტანენ; მდიდარი ღარიბს ეძმობა,
 გონებით და ცოდნით აღჭურვილნი
 გულწრფელად ძმათ მოველინებიან
 მათ, ვისაც ხელები ბებერებით, პა-
 ტიოსან მუშაობის ნიშნებით არის
 მორთული. იმედია „შევარდენი“,
 თავის წმინდა იდეალებით ირგვლივ
 შემოპკრებს ყველა მდგომარეობის
 და პროფესიის ქალ ვაეთ და ერთ-
 ფორპიან სავარჯიშო ხალათებში
 აღარ იქნებიან, მკურნალი ინეერე-
 ბი, მასწავლებელნი, მოსწავლენი
 მსახურნი, მუშები, არამედ თანას-
 წორი მოვარჯიშენი და სხვა არაფე-
 რი. თანდათან გარეგნული ერთგვა-
 რომა და სიახლოვე სულიერადაც
 გარდაქმნის შევარდენის წევრთ; სი-
 ძულვილს და შურს არ ექნება მათ
 შორის ადგილი და ასე თანდათანო-
 ბით, შეუმჩნევლად შევარდენის წე-
 ვრთ მიეცემათ ძმობა, ერთობა, თა-
 ნასწორობის აზრები.

დ. ჯავრიშვილი.

მოწამეთობა

ოქტომბრის 2—15 მოწამეთის მო-
 ნასტერი დღესასწაულობს წმიდა მო-
 წამეთა დავით და კონსტანტინეს
 ხსენებას. ამ დღეს მონასტერში მწირ-
 ველი ბრძანდება ქუთათელი მიტრო-
 პოლიტი ნაზარი საკრებულო ტაძ-
 რის და მონასტრის კრებულის თა-
 ნამწირველობით. რკინის გზის მოძ-
 რაობის უფროსის განკარგულებით
 ქუთაისსა და მოწამეთას შორის ივ-
 ლიან დამატებითი მატარებლები.
 რკინის გზით მიმოსვლა დაიწყება
 წინაღლით, ესე იგი 1—14 ოქტომ-
 ბერს. ამ დღეს პირველი დამატები-
 თი მატარებელი გავა ქუთაისიდან
 მოწამეთაში ნაშუადღევს 3 საათზე,
 მუდმივი მატარებელი იქნება თავის
 დროზე, ესე იგი 4 საათზე, მეორე
 დამატებითი მატარებელი გავა სალა-
 მოს ექვს საათზე, თვით დღესასწა-
 ულის დღეს პირველი დამატებითი
 მატარებელი გავა ქუთაისიდან დი-
 ლის 5 1/2 საათზე და წავა ხრესილა-
 დე ოკრიბიდან ხალხის მოსაყვანათ.
 დილის 7 ს. 50 მ. არის ჩვეულებ-
 რივი მატარებელი, მეორე დამატე-
 ბითი მატარებელი არის დილის 8 1/2
 საათზე მესამე დამატებითი დილის
 10 ს. 40 მ., მეოთხე 12 1/2 ს.
 დლით, მეოთხე 2 1/2 დლით, 4 სა-
 ათზე მუდმივი მატარებელია, მეექვ-
 სე დამატებითი მატარებელი სალა-
 მოს 5 1/2 საათზე და ეს მატარებელი
 წავა ხრესილადად. ყველა ეს მატა-
 რებლები მოწამეთის პლატფორმაზე,
 რომელიც იქვე მონასტერსთან არის
 გამართული, გაჩერდებიან თითო 15
 წუთს. უკანასკნელი მატარებელი
 დაბრუნდება მოწამეთიდან ქუთაისში
 სალამოს ცხრა საათზე.

კორესპონდენცია

ს. ჯავრიშვილის მო-
 ლეხუბის შაზრის სოფ. ლერწმ-
 დინარე-ზაფხულზე ხხვა და სხვა
 ტურულ დაწესებულებებს ვაგ
 საძირკველი. ეს დაწესებულ-
 დღეს საჭიროებენ დახმარებას. ს
 გადოებაც სრული შეგნებით შ
 ამ საქმეებს, გათვლისწინა
 მნიშვნელობა და რითაც კი
 ლია დახმარებას უწევს. —
 მაგრამ უფრო საგულისხმო
 საძვირფასოა ის თანაგრძობა
 დახმარება რომელიც ამ დაწეს-
 ლებებს სოფ. დერჩის სცენის
 ყვარებმა აღმოუჩინეს: დაუხა
 ლი შრომა გასწია ყველა ს
 მოყვარებმა. მოაწყვეს სცენა
 წმინდას ქვეშ და 15 მარტამობის
 წარმოდგენეს აქვსენტი ცაგარ
 4 მოქ. „ხანუმა“. სადაც მო
 ლეობას ღებულობდენ: ივლითი
 ელენა ირემადეები, თამარა, პას
 და ქეთო ასათიანის ასულნი,
 ახელკდიანის ასული, შინადორ
 რიანის ასული. პავლე, გრიგოლ
 ვალერიან ასათიანები ილიკო
 პორფილე წერეთელი; ყველამ
 გიანათ შენარულეს თავისი რ
 მხოლოდ კარგათ ითამაშეს დასაუ-
 ვოთ განასახიერეს „აკოვა“ ვალე
 ასათიანმა. „ხანუმა“ ელენა ირ
 ასულმა, და „ქატუა“ სონა ახვლ
 ანის ასულმა წარმოდგენის შემდეგ
 აწყვეს ამერიკული აუკციონი, რ
 მეტად დააინტერესა საზოგად
 და კარგი მოგებაც დატოვა.
 მოყვა ქალი ვაეთა სამაგალითო
 კვა სიმღერა, და შემდეგ კი მ
 ველთათვის გაიმართა ვახშამი. ს
 გადოება მეტათ ნასიამოვნები
 ასეთი გაართობით და დიდი მაღ
 ბა შესწირა ყოველივე ამის
 წყობთ. მთელი ამ წარმოდგენა
 ღამოს წმინდა შემოსავალი
 მან. სცენის მოყვარეთა ჯგუფმა
 დასდო ამავე სოფლის უმაღლეს
 ველ დაწყებითი სამეურნეო
 კლასიან სასწავლებლის სალა-
 ლოთ, რისთვისაც ამ სასწავლე
 მზრუნველი წრე დიდ მაღლ
 სწირავს ზემო აღნიშნულ პატ
 მულ პირთ.

**ჩედაქობი — სარედაქციო
 კოლეგია**

დაიკარგა ვალერიან ს
 ნისძე ცირს ვე
 ნ ენკენისთვის. საშუალო ზო
 თავმოუპარსავი ღამაში ამასთ
 პსიხიურად ავადმყოფი. ხნით
 წლის. ვინც რაიმე იცის მის
 ხებ ვსახოვ მაცნობოს შემდეგ
 სამართით: ქუთაისის სადგური,
 ლი ალექსის ძე ცირკიძეს.

**პაპლევ გაკვეთილებს
 ფრანგულ და გერმანულ ენებში**
 (თეორია და პრაქტიკა) ვამზადებ ყველა სასწავლებლის მოწაფეებს
 სულ ენაში. პუშკინის ქუჩა № 28. ბინა კბ. ექიმი რიგინაშვილი
 იკითხეთ მასწავლებელი.